საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№65/16 „19~ მაისი 2016 წ.

შ.პ.ს. „ბასილონ გლობალ სერვისი“-ს გენერალურ დირექტორს, ბატონ ქიჩირი ბასილაშვილს.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, აკადემქალაქის ტერიტორიაზე, ალექსიძის ქუჩა №9-ში, დაპროექტებული მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი შენობის გავლენისა, ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე

ქალაქ თბილისში, აკადემქალაქის ტერიტორიაზე, მ. ალექსიძის ქუჩა №9-ში, შ.პ.ს. „ბასილონ გლობალ სერვისი“-ს მიერ, თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.13.040.046) დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა (კორპუსი „ა“; კორპუსი „ბ“). მრავალფუნქციური კორპუსები გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, მაქსიმალური გაბარიტული ზომებით l×b=21.56×19.2მ. კორპუსებს გააჩნიათ ორი მიწისქვეშა სართული სიმაღლით 315სმ; ერთი კომერციული სართული სიმაღლით 400სმ. და 23 სართული სიმაღლით 315სმ.

მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვან ვარიანტში. საპროექტო შენობა საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე დაეფუძნება ნაბურღ-დანატენ ხიმინჯოვან საძირკვლებს მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი როსტვერკით. ხიმინჯოვანი საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს IV საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, ნაკლებად გამოფიტული ძირითად ქანებს ფენა №6, შემდეგი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლებით:

სიმკვრივე $\rho=2.30$ტ/მ^3.

სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში. $R_{C;n}=70.0$კგ/სმ^2.

საპროექტო შენობას, კორპუსი „ა“-ს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. (მიწისქვეშა ორი და მიწისზედა თოთხმეტი სართულით). არსებული შენობა მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილის საშუალებით დაფუძნებულია ზემოაღნიშნულ ძირითად ქანებზე, რომლებიც შასაძლებელია განვიხილოთ როგორც უკუმშვადი გრუნტი. მინიმალური მანძილი კორპუსი „ა“-დან არსებულ შენობამდე შეადგენს 8.5მ.-ს; ხოლო მაქსიმალური მანძილი 13.6მ.-ს. კორპუსი „ბ“-ს ირგვლივ ტერიტორია ფაქტიურად თავისუფალია (უახლოეს შენობამდე მანძილი აღემატება 20მ.-ს).

შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ შ.პ.ს „ბასილონ გლობალ სერვისი“-ს მიერ წარმოებული საპროექტო მრავალფუნქციური მრავალსართულიანი კორპუსების (კორპუსი „ა“; კორპუსი „ბ“) მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე, როგორც მშენებლობის პერიოდში, ასევე ექსპლოატაციის მთელი ვადის განმავლობაში.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/